№ 46 მარტი 1, სამშაბათი 1888 მარტი 1, სამშაბათი № 46

# ივერია

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდირბეგის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

ხუთშაბათს, 3-ს მარტს,
ტფილისის სობრანიის დარბაზში დანიშნულია
**ბ ა ლ ი**
ქართულის დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ.
ბილეთების ფასი 3 მანათი.
ბილეთები ისყიდება „სობრანიის“ შვეიცართან.
ტანცები დაიწყება პოლონეზით საღამოს 10 საათზედ.
დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

[ვ]აცხადებ, რომ შორაპნის [მ]აზრის თავად-აზნაურობის [კ]რება ჩემ მიერ დანიშნულია [...]-ცს მარტს ამ წლის ქალაქს [ქ]უთაისს.

შორაპნის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი, უუგანათლებულესი
თ. ა. ბაგრატიონი

ქართული თეატრი
უკანასკნელი წარმოდგენა
ოთხშაბათს, 2 მარტს,
[ქ]ართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:
I
თამარ
**ბატონიშვილი**
ისტორიული დრამა. 5 მოქ., კ. მესხისა.
II
დროებითი სიყვარული
კომ. ორ მოქმედებად, გადმოთ. თ. დ. ერისთავისაგან.
მოთამაშენი: ქქ. საფაროვი-აბაშიძისა, ჩერქეზოვისა, თამაროვისა, ლეონიძისა; ბბ. ყიფიანი, აბაშიძე, ხუციშვილი, ცაგარელი, ჯაჯანაშვილი, მაქსიმიძე და სხვანი.
დასაწყისი საღამოს 7½ საათზედ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ტფილისი, 29 თებერვალი

აწ გარდაცვალებული იმპერატორი გერმანიისა ვილჰელმი დიდად საყვარელი კაცი შეიქმნა გერმანიელთათვის მას შემდეგ, რაკი დანიას ჩამოართვა შლეზვიგ-გოლსტეინი, ავსტრია განდევნა გერმანიიდამ და ბოლოს დაამარცხა საფრანგეთი. მინამ საფრანგეთი გამგებელი იყო ევროპიის სვე-ბედისა, ძლიერ უშლიდა გერმანიის გაერთებას იმ მიზეზით, რომ გაერთებული და მით გაძლიერებული გერმანია საშიშარ მეზობლად ეყოლებოდა და უპირატესობასაც ჩამოართმევდა ევროპაში. როცა ვილჰელმმა, თავისის გენიოს თანაშემწეებით ბისმარკით და მოლტკეთი, ეს დიდის ხნის გულითადი წადილი გაერთებისა აღსრულებაში მოიყვანა, მისდამი სიყვარულს და პატივისცემას გერმანიაში საზღვარი არა ჰქონდა.

წინად-კი, სახელდობრ, 1848 წ., როცა პრუსიაში არეულობა და აშლილობა მოხდა, ვილჰელმმა, მაშინ ჯერ პრუსიის ტახტის მემკვიდრედ ყოფილმა, ვერაფრად მოაწონა თავი ერსა. ერმა იგი იცნა რეაქციონერად და იმოდენად აითვალწუნა, რომ მაშინდელმა პრუსიის მეფემ, ვილჰელმის ძმამ ფრიდრიხ-ვილჰელმ IV და მისმა მინისტრებმა ურჩიეს პრუსიიდამ სადმე გადახვეწილიყო და მომდურავს ერს მოჰშორებოდა. ვილჰელმი გაიხიზნა დრომდე ინგლისში. მერე, როცა ისევ გერმანიაში დაბრუნდა, დანიშნულ იქმნა მთავარ-სპასპეტად მხედრობისა, რომელიც გაგზავნილ იყო ბადენში რევოლიუციონერების წინააღმდეგ. 1858 წ. მიიღო რეგენტობა, რადგანაც ძმა მისი, მეფე პრუსიისა ავად იყო, და იმის სიკვდილის შემდეგ 1861 წ. გამეფდა კიდეც.

გამეფების უმალვე დაიბარა პეტერბურგში ელჩად გაგზავნილი გრაფი ბისმარკი, რომელიც ცნობილი იყო ვითარცა მოთავე კაცი მემარჯვენეთა 1847 წ. ლანდტაგში. გრაფი ბისმარკი დაიბარა იმისათვის, რომ როგორმე მოეხერხებინა და წეს-წყობილება შეეცვალა პარლამენტისა, რომელიც მაშინ ძლიერ ეპირისპირებოდა პრუსიის მართებლობასა.

თვითონ ვილჰელმი თავის-თავად არ იყო იმოდენად დიდი, როგორც ბოლოს დროს გარემოებამ გამოიყვანა. იგი სახელოვანი საქმეები, რომელთაც პრუსია დიდ და ძლიერ გერმანიად შეჰქმნეს, გერმანიას იმოდენად ვილჰელმისაგან არ ემადლება, რამოდენადაც იმ კაცებისაგან, რომელნიც ვილჰელმმა მოიწვია, დაიახლოვა სარჩევად და სამოქმედოდ. ვილჰელმის ღვაწლი გერმანიის წინაშე ის არის, რომ დიდი ნიჭი ჰქონდა კაცების ამორჩევისა თვისდა თანაშემწედ. კაცების ამორჩევაც იცოდა და იმათი პატივიცა. თ. ბისმარკი და გრაფი მოლტკე მან იცნა მრავალთა შორის და მოიშველია იმისთანა ძნელ საქმეში, როგორც გამგეობაა სახელმწიფოსში. შეტყობის ნიჭმა არ უღალატა და თვითონაც იმოდენად სულ-გრძელი იყო, რომ მათს რჩევას, მათს წინ-დახედულობას და შორს-მჭვრეტელობას სრულის ნდობით მხარი მისცა. თუმცა ადრინდელი მიდრეკილება რეაქციონური ბოლომდე შერჩა იმპერატორს ვილჰელმსა და ასე თუ ისე ჰცდილობდა ჯერ პრუსიის და მერე გერმანიის პარლამენტის ფრთების შეკვეცას, მაგრამ თვითონ თ. ბისმარკიც ამავე მიდრეკილების კაცია, ნამეტნავად შინაურს პოლიტიკაში და ამიტომაც ვილჰელმისა და ბისმარკის ერთმანერთში განწყობილებას ძლიერი და მაგარი საფუძველი ჰქონდა ამ მხრით.

არ ითქმის, რომ საგარეო პოლიტიკაში ესეთივე თანხმობა ჰყოფილიყო მათ შორის. იმპერატორს ვილჰელმს უყვარდა სახლობა რუსეთის იმპერატორისა და თვით ხელმწიფე იმპერატორიცა, ვითარცა თავისი მახლობელი ნათესავი. ამიტომაც ყოველს საქციელს ბისმარკისას, რუსეთისათვის საწყენს, იმპერატორი ვილჰელმი გულით ვერ მოიწონებდა ხოლმე და ზოგჯერ უთანხმოებაც მოსდიოდა ბისმარკთან. ამისდა მიუხედავად, თ. ბისმარკი მაინც ყოვლად შემძლებელი კაცი იყო და ძალიან შესული თავის იმპერატორთან, რომელიც ბევრს არ უხირდებოდა ხოლმე თ. ბისმარკს, რადგანაც იცოდა და სწამდა მისი დიდ-გონიერება და თითქმის უტყუარი შორ-მხედველობა.

ეხლა დეპეშებმა გვაცნობეს, რომ გერმანიის საიმპერატორო ტახტზედ ასასვლელად მემკვიდრე ვილჰელმისა ფრიდრიხი წავიდა სენ-რემოდამაო. ფრიდრიხი მეტად მძიმე ავადმყოფია და, როგორც მკურნალნი ამბობენ, იმისი მორჩენა ძნელად საგულვებელიაო. მაინც ამ მძიმე ავადმყოფს გაუბედნია ბერლინში წასვლა სენ-რემოდამ, სადაც იგი იმყოფებოდა მოსარჩენად, როგორც ჰავით კარგად შეზავებულს ადგილსა. მისი გაიმპერატორება გერმანიაში დიდს და მრავალ გვარს საქმეებს მოასწავებს, თუ დავუჯერეთ იმ ხმებს, რაც ამ ახალს იმპერატორზედ წინად ისმოდა, როცა ჯერ მემკვიდრედ ირიცხებოდა. ამბობენ, რომ იგი ლიბერალების მომხრეა და ვერაფრად მოსწონს თ. ბისმარკი და იმისი პოლიტიკა, ნამეტნავად შინაურიო. ახალი იმპერატორის მეუღლეს ხომ თვალის დასანახავად ეჯავრებაო თ. ბისმარკი. ამასაც ამბობენ, ვითომც ახალი იმპერატორი უფრო იმისი მომხრეა, რომ საფრანგეთს როგორმე მოჰშველდეს და მოურიგდესო.

თუ ყოველივე ეს ჭორი არ არის, რა თქმა უნდა, რომ ახალი იმპერატორი ბევრს ცვლილებას და დიდის მნიშვნელობის ცვლილებასაც მოახდენს გერმანიაში და, მაშასადამე, ევროპაშიაც, რადგანაც დღეს ევროპაში ჰბძანებლობს გერმანია.

რასაკვირველია, ყოველივე ეს ჯერ უფრო მითქმა-მოთქმაა, ვი-

# ფელეტონი

## ჩვენი საეკკლესიო სჯულ-მდებლობა

ძეგლის წერა.

III *)

როგორც უკვე შევნიშნეთ, საზოგადო საჭიროებამ გამოიწვია «წმიდა კრება»... კრებას საგნად და აზრად ჰქონდა, ხალხის დაცემული ზნეობა აღედგინა. რასაკვირველია, უმთავრესს გარემოებას ზედ დაერთო ცალკერძო მიზეზიც. ამით ჩვენ მხოლოდ გვინდა ვსთქვათ, რომ საზოგადო უზნეობამ, ზნეობრივმა სიწამხდრემ შებილწა, შელახა ზოგიერთი საეკკლესიო წესი, კანონი; ამიტომ კრებამ ყურადღება მიაქცია საეკკლესიო წესდების და მმართველობის განკარგებასა და განახლებასაც. მაშასადამე, უმთავრესად «ძეგლის წერა» ზნეობითი სჯულ-დებაა, თუმცა იგი საეკკლესიო ოქმსაც შეადგენს, საეკკლესიო საგნებსაც შეეხება. „ძეგლის წერას“ ეს ორი გვარი მნიშვნელობა აქვს და ვინც-კი გულ-დადებით შეისწავლის ამ მეტად საყურადღებო სჯულ-მდებლობითს ნაშთს, იგი სხვა დასკვნას და აზრს არ შეადგენს იმაზედ. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ჩვენს ისტორიულს მწიგნობრობაში-კი სულ სხვა აზრია აღიარებული «ძეგლის წერის» შესახებ: ჰფიქრობენ, ვითომ ამ ძეგლსა საგნადა ჰქონდა განედევნა და აღმოეფხვრა მწვალებლობა, რომელიც მაშინდელს დროს საქართველოში იყო გავრცელებული. სწორედ ამ აზრსა და შეხედულობას ადგია ცნობილი ავტორი „საქართველოს ეკლესიის ისტორიისა“, პ. იოსელიანი, რომელსაც ჰგონია, ვითომ დავით აღმაშენებელმა «წმიდა კრებას» იმიტომ მოუწოდა, რომ მართლ-მადიდებლობა დაეხსნა მწვალებლობისაგან, საქართველოს ეკკლესია გაენთავისუფლებინა მწვალებელთა სწავლისაგან [19]). იმ დროსაო, ამბობს ჩვენის ეკკლესიის მეისტორიე, ძრიელ გავრცელდა მთლად აზიაში ნესტორიანებია და აკეფალების მწვალებლობა, უაიცხვი ბერები დაწროდნენ საქართველოში და ხალხში მწვალებლობას ავრცელებდნენო...

მკითხველს აქნება პირველ შეხედულობაზე ეს აზრი ცოტად თუ ბევრად საბუთიან და საფუძვლიან აზრად ეჩვენოს, რადგანაც თვით «ძეგლის წერის» ვრცელი შესავალი ხელს უწყობს დაეჯეროს ამ აზრის სინამდვილე. მართლაც-და, „ძეგლის წერის“ შესავალში ვრცლად და ქრონოლოგიურს რიგზედ ჩამოთვლილი და მოხსენებულია თვითეული მსოფლიო და ადგილობრივი „[illegible] კრებანი“; მოყვანილია აგრეთვე წმინდა მამათა საეკკლესიო კანონები. როგორც ვიცით, წმიდა კრებათა მოძღვრება და განჩინება უმთავრეს ნაწილად მიმართული იყო რომლისამე მწვალებლობის წინააღმდეგ; უმეტესად ესევე განზრახვა ჰქონდათ წმინდა მამებს, როცა კანონებს სდებდნენ. გარდა ამისა, «ძეგლის წერა» მიჰმართავს საქართველოს სასულიერო წოდებას შემდეგის სიტყვებით: «ამა შეკრებათა წმიდათა და საეკკლესიო კანონთა... მტკიცედ პყრობა უხმს ყოველთა წინამძღვართა... ერთბამად ყოველსა კრებასა მართლ-მადიდებელთა ეკკლესიისასა»... ამ საბუთისა და მოსაზრების გამო მკითხველს, რასაკვირველია, შეუძლიან იფიქროს, ვითომ «წმიდა კრება», რომელმაც «ძეგლის წერა» დაადგინა, შემოკრება იმიტომ-რომ განედევნა საქართველოში გავრცელებული ნესტორიანთა და სხვათა მწვალებლობა, მაგრამ ჩვენ-კი ეს აზრი შეცდომად მივაჩნია. აი რისათვის და რად:

საჭიროა პირველადვე შევნიშნოთ, რომ ჩვენ სრულებითაც არ უარვყოფთ ხსენებულს ისტორიულს მოვლენას, სახელდობრ იმას, რომ «წმიდა კრების» დროს საქართველოში ნესტორიანთა და სხ. მწვალებლობა ვრცელდებოდა; ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ არც კრება და არც ძეგლი მწვალებლობას არ ებრძოდა, მწვალებლობა იმ დროს სრულებითაც არ შეადგენდა ისეთს მწვავს სენს, რომლის მოსასპობლად საჭირო იყო კრების მოხდენა. ასე რომ ყოფილიყო, «ძეგლის წერაც» პირდაპირ მოიხსენიებდა — რომელს მწვალებლობას წინ აღუდგა კრება, დაასახელებდა ნესტორისა და სხ. მწვალებლობას, მაგრამ ძეგლის ფურცლებზედ ხსენებაც არ არის ნესტორიანების მწვალებლობისა; «ძეგლის წერა» მხოლოდ უკანასკნელ მუხლში და ისიც გაკვრით, თუ გნებავთ, უნებურად, იხსენიებს მხოლოდ «ხატის შეგინებას» [20]), მაგრამ ძირითადი სწავლა, დოგმატიური დედა-აზრი ნესტორის მწვალებლობისა ხომ სხვა იყო და არა «ხატის შეგინება»: ნესტორის მოძღვრება, როგორც ვიცით, ეწინააღმდეგებოდა მხოლოდ მართლ-მადიდებლობის სწავლას ქრისტეს არსებაზედ, ამბობდა, რომ ქრისტე მარტო ერთის არსებისაა და არა ორისაო... ცხადია, რომ ნესტორიანთა მწვალებლობა მართლ-მადიდებლობისათვის დიდი «ბიწი» იყო და უკეთუ ამ «ბიწის» დასათრგუნველად, აღმოსაფხვრელად კრება მოხდებოდა, უეჭველია, ძეგლში ეს გარემოება მოხსენებული იქნება; არა, ჩვენს ეკკლესიას და სარწმუნოებას იმ დროს მწვალებლობის „ბიწი“ არ შეჰხებია, ნესტორიანთა მოძღვრება არ მიჰკარებია; ამას თვით «წმიდა კრება» ჰლაღადებს ძეგლის პირითა: «გარნა არა თუ უბიწოებისა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეეხებოდა, — ნუ იყოფინ ესე! — არა გეცრუვნეთ შენ

*) იხ. „ივერია“, № 38.

19) История Груз. церкви, стр. 73 და 74.

20) მუხლი იე, სადაც: „მაგინებელიცა სადმე ხატისა ღვთისა ღმერთისა აგინებს უეჭველად“... «განვასაზღვრებთ, რათა ესეცა ღვთის შემაწუხებელი და ღვთისა შეურაცხის მყოფელი ცოდვა სრულიად მოისპოს ყოვლისაგან ენის და [...] ჩვენისა“...

დრე დასაბუთებული ამბავი და ამიტომაც ამ მითქმა-მოთქმაზედ დამყარებული წინად-თქმა რისამე დაბეჯითებით ჯერ შეუძლებელია. ორი კვირაც არ გაივლის დღეის შემდეგ და ყველაფერი ცხადი იქნება. ყოველ ამის მიუხედავად, მაინც დიდის მნიშვნელობის ამბავია გარდაცვალება იმპერატორის ვილჰელმისა, იმიტომ-რომ ამ უკანასკნელ ხანებში ამბობდნენ, ვითომც მოხუცებულს იმპერატორს დიდად ჰსურდა მინამ ცოცხალი იყო ომი არ ატეხილიყო და სული ამით არ დაემძიმებინაო.

## ახალი ამბავი

*** ამბობენ, რომ კავკასიის მთავარ-მმართებელი, თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, ამ თთვის დამლევს დაბრუნდება პეტერბურგიდამ.

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ რკინის გზის ვაგონები დღეიდამ ოთხჯერ გაჩერდება დღეში ძეგვს ახლოს შიო-მღვიმის მონასტერსა და ან სოფელ ძეგვში მიმავალთათვის: ორჯელ ტფილისიდამ წასული ვაგონები დილითა და საღამოთი და ორჯელ კიდევ სურამიდამ მომავალი ვაგონები.

*** თევზის საჭერ ადგილების გაცემა იჯარით მტკვარზე დაიწყება, როგორც უკვე მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, ბაქოში მარტის გასულს. ვაჭრობა დანიშნულია 22, 23, 24, 26 და 29 მარტს. ვაჭრობა დაიწყება იმ ფასიდამ, რა ფასადაც წინად იყო გაცემული თითოეული ადგილი თევზის ჭერისა. სულ გასაცემია იჯარით 28 ადგილი. სულ ძვირი მათში არის ესრედ-წოდებული ბანკის ადგილი, რომელიც გაცემული იყო 251,000 მანათად. შემდეგ მოსდევს ბოჟე-პრომისლისა — 81,000 მან. და მერე ქვემო-აკუმისა — 70,600 მან. გამოცხადებულია, რომ ერთად ფული გადაკვეთა მოიჯარადრეს მიერ რამდენისამე ადგილისათვის შეწყნარებული არ იქმნებაო. იჯარით აღების მსურველმა თითოეულის ადგილისათვის ცალკე უნდა გამოაცხადოს, რა ფასის მიცემაც შეუძლიან იჯარაში.

*** ტფილისში გავრცელებულია ამ ჟამად სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა ყმაწვილებისა: წითელა, ყივანახველა, ყვავილი. ყვავილი სხვათა შორის ხარფუხშია ძრიელ გავრცელებულიო.

*** ტფილისის გამგეობას ვადა გადაუცილებია ბაღების გამართვისა ავლაბარსა და მთა-წმინდაში და ამიტომ ეს საქმე კიდევ გადაიდო ერთის წლითაო. ვადის გადაცილების მიზეზი ისა ყოფილა, რომ ხმოსნები არ შეიკრიბნენ დროზე საბჭოდ და არ მოისმინეს მოხსენება გამგეობისა ამ საგნის თაობაზეო.

*** ამ დღეებში კრება ჰქონდა ტფილისის სატეხნიკო საზოგადოებას და მოილაპარაკა, რომ აბანოები უკეთესად უნდა მოეწყოს სხვა-და-სხვა ავადმყოფობის კურნებისათვის ტფილისში. კრებამ გადასწყვიტა, რომ შესდგეს კომისია და ამას მიენდოს გამოიკვლიოს და გამოიძიოს ეს საქმე. ამისათვის კომისიას მიეცეს 500 მანათიო.

*** ტფილისის აბანოები ღირს სულ 805,514 მან. შემოსავალი წელიწადში 94,000 მანათი შემოაქვთ.

*** ერთს აფხაზელს განათლებულს აფხაზს განუზრახავს აფხაზურის მწერლობის დაარსება და კიდეც შეუდგენია აფხაზური ანბანი.

*** აბაშა (სამეგრელო): «ივერიაში» მოხსენებული იყო, რომ აბაშელებს განზრახვა ჰქონდათ თავიანთის სკოლისათვის კარგი, რიგიანი შენობა აეგოთ. აგრეთვე ნათქვამია, რომ აბაშელებს შეუძლიანთ გაუჭირვებლად და ადვილად შეინახონ თუ ორ კლასიანი სკოლა არა, ერთ კლასიანი მაინცაო. ამასთანავე იმასაც იწერებოდნენ, რომ აბაშელებმა თავისი განზრახვა ვერ შეასრულეს, რადგანაც სკოლისათვის შესაფერი ადგილი ვერ იშოვნეს და ვერ აღმოაჩინესო. დიდი ბაასი იყო ამის შესახებ და მაინც ვერ მორიგდნენ. ყოველს ყრილობაზე დიდი და ხანგრძლივი ბაასი ჩამოვარდებოდა ხოლმე ამის თაობაზე და საქმე იმით დასრულდა, რომ აბაშელებმა გადასწყვიტეს: ოღონდ სკოლა ავაგოთ და ჩვენს შვილებს სწავლის სახსარი და საშუალება მივსცეთ, და სადაც იქნება, ეგ სულ ერთიაო. არ შეგვიძლიან არ მოვიხსენიოთ, რომ სკოლის საქმისათვის ძალიან ენერგიულად და თავ-გამოდებით ჰმოქმედობდა ბ-ნი ბესარიონ კალოიანი, მაგრამ რა ჰქმნას ერთმა კაცმა, თუ რომ სხვები მხარს არ მისცემენ და შემწეობას არ აღმოუჩენენ.

საქმე უფრო მალე დასრულდებოდა, თუ რომ ბ-ნს სამტრედიის ბოქაულს ყურადღება ეთხოვებინა და საზოგადოებისათვის მეთაურობა გაეწია.

*** იქიდამვე: დღემდის არაფერი ეშველა ჩვენს გზებს; ალაგ-ალაგ რომ მთა-გორიანი ადგილი არ იყოს, სწორედ მოუხერხებელი იქმნებოდა აქაურს გზებზე სიარული. დიდი სიფრთხილე და მეცადინეობაა საჭირო, რომ ცხენოსანმა თუ ფეხოსანმა ცხვირ-პირი არ დაიმტვრიოს მოგზაურობის დროს. გზებს არც თხრილებს უკეთებენ, არც არაფერს აყრიან და, მოვა თუ არა წვიმა, გზა სრულიად არ მოსჩანს.

*** ნიგოითი (გურია): ნიგოითის სკოლა ეხლა აღრინდელზე უფრო კარგს მდგომარეობაშია; ზოგი ნაკლულევანება უკვე შევსებულია და ზოგიც, იმედია, შეივსება და გასწორდება. ამ მოკლეს ხანში დანიშნულია მზრუნველების არჩევანი და სასურველია, რომ რიგიანი და გულშემატკივარი მზრუნველები აირჩიონ. ერთი ძველი მზრუნველთაგანი, ბ-ნი დ. მშ—ძე, ჰპირდება საზოგადოებას წლიურად ორასს მანეთს სკოლის სასარგებლოდ. არ ვიცით, შეასრულებს თუ არა თავის სიტყვას ბ-ნი მშ—ძე, მაგრამ ის-კი სასურველია, რომ დაპირება უქმი არ გამოდგეს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი მშ—ძე თავის სიტყვას არ გადაუდგება იმ შემთხვევაშიაც, თუ რაიმე მიზეზით მზრუნველად არ აირჩიეს, რადგანაც საზოგადო ინტერესი უნდა აჯობინოს საკუთარს თავ-მოყვარეობას. თავის დროზე შევატყობინებთ იმას, თუ ვის აირჩევენ და ყოველსავე, რაც ამ საქმეს შეეხება.

*** რაჭა: ერთი დიდი საჭიროება აქვს ჩვენს სკოლებს. საქმე ის არის, რომ მოსწავლეთ ძალიან უჭირთ სასწავლო ნივთების მოპოვება. ეს გარემოება დიდს დაბრკოლებას აძლევს როგორც მასწავლებელთ, ისე მოსწავლეთა. კარგი იქმნებოდა, რომ ქუთაისის წიგნის მაღაზიების პატრონებმა, ბბ. ჭილაძემ და მურადოვმა, ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას, მოილაპარაკონ ორის ორ კლასიან ნორმალურ სასწავლებლის მთავრობას და უგზავნონ, თუ შეიძლება, ყველა საჭირო წიგნები და სხვა ნივთები. თუ ასე არა, ჩვენის აზრით, სხვაფრივაც შესაძლოა საქმე მოაწყონ. საჭიროა, ხსენებულმა მოვაჭრეებმა მოილაპარაკონ სოფლის მასწავლებლებს და თვითოეულ სკოლაში გამართონ პატარ-პატარა საწყობი სასწავლო ნივთებისა. ყოველივე ეს მით უფრო ადვილი მოსახერხებელია, რომ პირველ მაისიდგან სახელმწიფო ფოსტა გაიმართება ქუთაისსა და ონს შუა და, მაშასადამე, ნივთების გზავნა ძნელი იქნება.

*** გაზ. «კავკაზი» ამბობს, რომ ქ-ნს ეკ. გაბაშვილს, რომელმაც ითხოვა ნება-რთვა საყმაწვილო სურათებიანის ჟურნალის ბეჭდვისა ქართულად, უარი მოუვიდა პეტერბურგიდამ ბეჭდვის საქმეთა მთავარ-სამმართველოსაგანაო. როგორც ეხსომებათ მკითხველებს, ამას წინად უარი მოუვიდათ კიდევ ბბ-ნთ ვ. რცხილაძესა და მ. ქართველიშვილს, რომელთაც ითხოვეს სწორედ ასეთისავე საყმაწვილო ჟურნალის ბეჭდვის ნება-რთვა.

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ მარტში ჩამოვა ტფილისში და წავა სპარსეთში სერ დრუმმონდ ვოლფი, რომელიც დანიშნულია ინგლისის მიერ სპარსეთში ელჩადაო.

*** 28 თებერვლის ღამეს მე-5 ნაწილში ელისაბედ ამირბეგოვის სახლი გასტეხეს ქურდებმა და გაიტანეს სხვა-და-სხვა ნივთი 281 მან. გუშინ მიიტანეს ეჭვი ორს ძმა ხუდადოვებზე, სარქისა და ივანეზე, რომელნიც პოლიციამ უკვე დაპატიმრა.

*** 27 თებერვალს ღამე შეპყრობილ იქნა დიღმელი გლეხ-კაცი, მანუკა იზიაკლიაშვილი, რომელსაც ცხენი მოეპარა და თან მიჰყავდა.

*** პოლიციის მე-6 განყოფილების მოხელეს, ნიკოლოზ კოროლევს, თავი მოუკლავს რევოლვერით 27-ს ამ თთვისას. საცოდავი უკანასკნელს დღეებში ძალიან დაღონებული, სულიერად დაჩაგრული და გულ-ჩათხრობილი იყო.

*** 27-ს თებერვალს, გაუფრთხილებლობისა გამო, მტკვარში დაირჩო ურიის ყმაწვილი 12 წლისა, ირვ ოკუნი.

---

სიწმინდით, მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკკლესიაო, არცა განგცეთ შენ»... მაშასადამე, წმიდა კრებას საგნად არა ჰქონია მწვალებლობასთან ბრძოლა, ნესტორიანებისა და აკეფალების სწავლის განდევნა ჩვენის მართლ-მადიდებლობიდგან და თუ ასეა, არც «ძეგლის წერა» ადგია კერძო ეკკლესიურსა და დოგმატიურს მოძღვრებას...

სხვა რომ არა იყოს-რა, დავით აღმაშენებლის პოლიტიკური რწმენა, იმისი სარწმუნოებრივი შეხედულობა და მიმართულება, იმისი კაცური დიდ-ბუნებოვანობა, ერთის სიტყვით, მთელი იმისი არსება საკმაო საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დიდებულს ჩვენს მეფეს სრულებითაც არა ჰქონდა წადილი და მოცალეობა ასეთის წვრილმანის ვარჯიშობისათვის, როგორც მწვალებლობის განხილვაა კრებაზედ. მთელი ძალა და ღონე დიდებულის მეფისა სამშობლოს აღდგენამ შეილია; მეფე მეტად დიადის პოლიტიკურის აზრით იყო გატაცებული და გამსჭვალული; თვით სარწმუნოება, მართლ-მადიდებლობა იმან სამშობლოს თუ არ ანაცვალა, დაუმორჩილა მაინც. ჯერ უიმისოდაც სარწმუნოება და სახელმწიფო ძველ საქართველოში, როგორც მოგეხსენებათ, მჭიდროდ შეკავშირებულნი იყვნენ, ერთსა და იმავე გზას ადგნენ, ერთის აზრით — სამშობლოს სიკეთით სულდგმულობდნენ და დავით აღმაშენებ[illegible] კავშირი ხომ უფრო განამტკიცა, არა თუ მარტო განამტკიცა, — სახელმწიფო მაღლა დააყენა ეკკლესიასა და სასულიერო წოდებაზედ. ამის გამო ვფიქრობთ, რომ პოლიტიკური იდეალი ნებას არ აძლევდა მეფეს და არც მისცა ასეთის წვრილმან საქმისათვის მოეკიდნა ხელი, როგორც სქოლასტიური ვარჯიშობა და სჯაა სხვა-და-სხვა დოგმატზედ. წარსული ცხოვრება გვიჩვენებს, რომ საქართველოს ეკკლესიასაც არ უყვარდა ეს უნაყოფო ვარჯიშობა, ეკკლესია მოშორებული იყო ფანატიზმსა, მძულვარებით არა სდევნიდა მწვალებლობას და ნათელი გონება, სახელმწ[illegible] გამჭრიახობა დავითისა ხომ უფრო მოშორებული იქმნებოდა ფანატიზმსა და სხვათა მოძღვრების დევნასა. ამის წინააღმდეგად იქნება დაგვისახელონ ის გარემოება, რომ თვით ჩვენმა ეკკლესიამ დავით აღმაშენებელი წმინდად იწამა, წმინდანებში შერიცხა და ამიტომ შეიძლება წმინდა მეფეს მძულვარება ჰქონოდა სხვა საეკკლესიო და სარწმუნოებრივის მოძღვრებისადმიო; მაგრამ ამ გვარი საბუთი სრულებითაც არ არღვევს ჩვენს აზრს. პირველად ესა, რომ თვით «წმიდა კრება» თავის ძეგლში დავითს ისეთის ღირსებითა და თვისებით ამკობს, რომლიდგანაც ცხადად სჩანს მეფის ნათელი და თავისუფალი შეხედულობა მწვალებლობასა და სხვა სარწმუნოებრივს მოძღვრებაზედ; როცა «ძეგლის წერა» დიდებულს მეფეს ამ გვარად ამკობს: «ერთბამად მხნეც არს და ბრძენ, მართალ და წმიდა, იგივე მყუდროცა და მშვიდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძვირ-უხსენებელ და მიმსგავსებულ სახიერებისა ღვთისა, რომელი აღმოუბრწყინვებს მზესა კეთილთა და ბოროტთა და ზრდის ყოველთა წვიმითა ჰსწორებითა», მაშინ მისალებელი და დასაჯერებელი არ არის, რომ ასეთის ღირსებისა და თვისების მეფეს რაიმე მძულვარება ჰქონოდა მწვალებელთა მიმართ.

მაგრამ «ძეგლის წერის» გარდა, თვით მატიანემაც შეგვინახა ერთი საყურადღებო ისტორიული ძაგალითი, რომელიც გვიჩვენებს, რომ დავით აღმაშენებლის პრაქტიკული ჭკუა-გონება მოშორებული იყო სქოლასტიურს ვარჯიშობას და საეკკლესიო დოგმატებზე მსჯელობას. როცა ძლევა-მოსილმა მეფემ აიღო ქ. ანი, სომხების სამღვდელოებამ სთხოვა: კრება გამართეთ და საშუალება მოგვეცით დავამტკიცოთ, რომ ჩვენი სარწმუნოება წმინდაა და მწვალებლობას მოშორებულიო. მეფე დასთანხმდა და კრებაზედ სომხებსა და ქართველებს შორის შეიქნა ცხარე სჯა — «რამეთუ იყო ორ-კერძოვე ძლევის მოყვარება ოდენ და სიტყვათა პაექრობა»... კრება, რასაკვირველია, მიაღვა ბუნდოვან და ცოცხალ გონებისათვის მიუწდომელ საგნებს — «შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა» და როცა დავითმა დაინახა ყოველივე ეს, პირდაპირ უთხრა კრებას, რომ მე მხედარი ვარ, ვერ გავიგებ მაგ თქვენ «შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა» და ამიტომაც თვითვეული მხარე თავის სარწმუნოებაზედ დარჩითო [21])... დიაღ, მეფე მხედარი იყო, «მხედრობათა შინა აღზრდილი», იმის სულსა და გულს იზიდავდა სამშობლოს ბედნიერება, გაძლიერება და ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მეფეს ხალისი არა ჰქონდა ეფიქრა «შეუვალთა და ძნიად გამოსავალთა» საქმეებზედ. შესანიშნავი უფრო ის არის, [illegible] «წმინდა» მეფე ყველა სარწმუნოებას ერთ გვარად ეპყრობოდა, ერთსა და იმავე პატივს სცემდა ყველა მოძღვრებას. მართლაც-და, საკვირველი და საოცარია, რომ წმინდანად აღიარებული მეფე, მეოხე და მფარველი საქართველოს ეკკლესიისა, მომხრე და უხვი მოწყალე სასულიერო წოდებისა, არა თუ მარტო მართლ-მადიდებლობს, სხვა სარწმუნოებასაც პატივ-დებითა და მოწიწებით ექცეოდა. ის კიდევ არაფერი, რომ დავით აღმაშენებელი, როგორც სომეხთა მეისტორიენი გვარწმუნებენ, დიდს პატივსა სცემდა სომხების სარწმუნოებას, იმათ[illegible]ლოცვაზედ დაიარებოდა, სომხებს ქ. გორი აუშენა, აუგო ტაძრები, მონასტრები [22]), ღირს-შესანიშნავი უფრო ისაა, რომ მეფე, მოსლემინების მეისტორიეს სიტყვით, მეტს პატივსა სცემდა მოსლემინებს, ვიდრე მათნი მთავარნი, ყოველ დღე დადიოდა მეჩითში, ისმენდა ყორანის კითხვას [23]); როცა მეფემ ტფილისი წაართვა ურწმუნოთა და თავის სატახტო ქალაქად დააწესა, მოსლემინებმა სთხოვეს: ქართველებს აუკრძალე ქალაქში ღორებს ნუ დაჰკვლენო, და ესეც-კი შეუსრულა ძლევა-მოსილმა მეფემ დამორჩილებულს მოსლემინებს! [24]) ზემოხსენებული მაგალითები ცხადად გვიხატვენ დავით აღმაშენებლის ზნეობრივს სურათს, ნათელს ჰყვენენ იმის დიდ-ბუნებოვანობას და ეს დიდ-ბუნებოვანობა კაცისა ხომ არ ეთანხმება იმ კერძო-ეკკლესიურს მიმართულებას, რომელსაც შეეძლო გამოეწვია კრება მწვალებლობასთან საბრძოლველად. სწორედ, რომ დავით აღმაშენებელი გამსჭვალული იყო სხვა აზრითა, მისთვის „წმინდანობა“ ცარიელი სახელი იყო; და რომ ეს ნამდვილად ასეა, მტკიცდება იმითაც, რომ „წმინდა“ მეფემ, როცა ტფილისი აიღო, პირველსავე დღეს ხუთასი კაცი მოსლემინი ჩამოარჩო საჩრჩობელაზედ ქალაქში, — გეშინოდეთ და მეკრძალოდეთო [25])... თქვენც დამეთანხმებით, რომ ასეთი «წმინდა» მეფე ბევრს არაფრად შეიწყენდა თავს, არას ინაღვლიდა მწვალებელ ბერების წოწიალს საქართველოში!..

ნ. ურბნელი

21) ქართლის ცხოვრება, გ. 258 და 259.

22) ვახუშტი, საქართველოს ისტორია, გვ. 185, სადაც დ. ბაქრაძეს სხოლიოებში ისტორიული ცნობები მოჰყავს.

23) იქვე.

24) Баратовъ, стр. 20.

25) იქვე გვ. 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ბათუმი**, 27 თებერვალი. ამ თთვის ოც-და-ექვსს უნდა ყოფილიყო წარმოდგენა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენა ჩაიშალა, რადგანაც ერთს სცენის მოყვარეთაგან მანდილოსანს მამამთილი მოუკვდა წვეთის დაცემით წარმოდგენის წინა დღით. ბილეთები გაყიდული იყო 25 თუმნისა. თაოსნობა ამ საქმეში იკისრა მაკრინე იოსების ასულმა ღლონტმა. არც ერთს ქართულს წარმოდგენაში ასეთი მხურვალე მონაწილეობა არ მიუღიათ ბათუმელს ქართველებსა, როგორც ეხლა. როდესაც საქმე ასე მოულოდნელად გვეფუშებოდა, მივმართეთ ჩვენს არტისტს, ბ-ნს ალექსი-მესხიშვილს, რომელიც აქ კაი ხანია სტუმრად არის და რუსულ არტისტების დასში იღებს მონაწილეობას. ამანაც აღგვითქვა მონაწილეობას მივიღებო, გადადევითო. ჩვენც გახარებულებმა მივსწერეთ დეპეშა ტფილისში ქალბატონ ანდრონიკოვისას, რომ მოსულიყო. იმისგანაც მივიღეთ მოსვლის პასუხი. ჩვენმა არტისტმა დაჰკრა ფეხი, ქუთაისს წავიდა და სკოლას სამასის მანეთის «ზარალი მისცა».

ამ გვარს საქციელს რაც გინდათ, ის უწოდეთ. ბათუმის თეატრის პატრონმა ანანიევმა კაი შეურაცხყოფა მიაყენა ბათუმელ ქართველებსა. ორშაბათი დღე, რომლისათვისაც ჩვენ გარდავსდეთ ჩვენი წარმოდგენა, სხვებს დაუთმო. ამას-კი ძვირად დაუჯდება ეს დაბახანური საქციელი.

ამას წინად ბათუმში მობრძანდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი. დაათვალიერა აქაური სამოქალაქო სასწავლებელი. აქაურ კერძო სასწავლებლების დათვალიერება ვერ მოასწრო..

ბათუმშიაც, როგორც საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, ნელ-ნელა იჩენს თავს ქურდობა. აქაურს ქურდებს სწორედ რომ ლამის რაინდები უნდა ვუწოდოთ. სასაცილო ის არის, რომ პოლიციის სამმართველოში პოლიციის მდივანს მოჰპარეს პალტო. მეტი რაინდობა-ღა გინდათ?! ამას წინად ბათუმში თავისმა ამხანაგებმა ერთი მეეტლე მოჰკლეს. მკვლელები შეიპყრო პოლიციამ. ეს მეეტლე იმისთვის მოუკლავთ თურმე ამხანაგებს, რომ ისინი გაუმჟღავნებია ერთს ქურდობის საქმეში. ამ დღეებში ბათუმშივე დასჭრეს ერთი კაცი და ჯიბიდგან ამოაცალეს ფულები. სასიკვდილოდ დაჭრილს კაცს ერთმა მოწესეთაგანმა ჯიბიდგან ამოაცალა თურმე დანარჩენი ფული. ესეც შეიპყრო გამომძიებელმა.

ბათუმის დეპუტატების საქმე მიყუჩდა. ეს-კი იყო, ღვთის წინაშე, რომ პოლიცია იძიებდა, ვინ აგროვებდა ფულებს ბათუმის მომრიგებელ-მოსამართლისათვის ოქროს ჯაჭვის სასყიდლადაო. ამ საქმეზე მხოლოდ ეს-ღა ითქმის: დიდ არს, უფალო, სახელი შენი.

ბათუმელი მოქალაქენი მოუთმენლად მოელიან დიმიტრი ბაქრაძის დაბრუნებას სტამბოლიდგან, განსაკუთრებით ისინი, ვისაც დიდი დავა აქვს ქალაქთან მამულის თაობაზე და საქალაქო ბაღს ედავებიან ქალაქს. ეს საქმე ძალიან საინტერესო საქმეა. ამ ბაღის პატრონების სიგელი, «თაფი» სადგილ-მამულო კომისიას შეუმოწმებია და კანონიერ „თაფად“ უცვნია, მაგრამ მეორედ იმავე კომისიას თავისივე წარწერა წაუშლია და დაუწერია, რომ ეს «თაფი» უკანონო „თაფიაო“. ამაზე დიდი საჩივრებია გუბერნატორთან და პალატაში ტფილისსა.

დასასრულ სიხარულით უნდა აღვნიშნო ერთი სასიამოვნო გარემოებაც. ბათუმის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი, ბ-ნი ევსევი ბაბილუა, რომელმაც მშვენივრად იცის სიმღერა-გალობა ნოტებზე, უსასყიდლოდ ასწავლის სიმღერებს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლის ყმაწვილებსა.

ბათუმელი

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ავსტრიასა, ინგლისსა და იტალიას, თუმცა პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ ეტყობათ-კი, რომ არ უნდათ უკანონო მთავრადა სცნან პრინცი ფერდინანდი. მაინც იმედიაო, ჰფიქრობენ ბერლინში, რომ გერმანია და რუსეთი გაიმარჯვებენ. ორ კვირამდე გაივლის, ვიდრე ეს საქმე გამოირკვევაო.

— ძნელია კაცმა სთქვას, რა ამბავია ამ ჟამად ბოლგარიაში და რას ჰფიქრობს ან სამინისტრო, ან პრინცი ფერდინანდი. მზადებაში-კი დიდში არიან ბოლგარნი. ეტყობა, პრინცი ფერდინანდი და იმისი მოთათბირენი საწინააღმდეგოდ ემზადებიან. ბრძანება გაუციათ, რომ ყოველივე მზად იყოს ჯარის დასაყენებლად სამხედრო ფეხზედ. ვინც ჯარში გასასვლელია, იმათ ნაბრძანები აქვთ, რომ თავიანთ ბინიდამ ფეხი არსად მოიცვალონ ნება-დაურთველად. განზრახვა აქვთ, რომ ჯარსაც მოუმატონ და ყოველ მხრივ გააძლიერონ მხედრობა.

— მაკედონიიდამ მოდის ამბები, რომ იქ მრავლად გაჩნდნენ აჯანყებულთა დასნიო.

— უსიამოვნება თან-და-თან უფრო მატულობს პრინცს ფერდინანდსა და მთავარ-მინისტრს სტამბულოვს შორისაო.

— ის პოლკი ჯარისა, რომელიც ფილიპოპოლში იდგა აქამდე, ამ ჟამად ბურღასში იქმნა გაგზავნილი.

**ავსტრო-უნგრია.** გაზ. „New-York Herald“-ი ამბობს: ეხლა გამოაშკარავდა, რად ჩაიბა თავი იტალიამ ავსტრო-გერმანიის კავშირშიო. იტალიას იმისი შიში ჰქონია, რომ ჩემის მიწა-წყლიდამ არა მომიჭრან-რა და ავსტრიას არ მისცენ იმის სამაგიეროდ, რასაც რუსეთი მიიღებს ბალკანიის ნახევარ-კუნძულზეო. ხოლო გერმანიას იმიტომ უნდოდა ჩაბმა იტალიაცა, რომ ავსტრიას არ ენდობოდაო. არ ენდობოდა ავსტრიას აი რა მიზეზების გამო: ჯერ იმიტომ-რომ ავსტრიის ჯარსა და მხედრობას სახელი აქვს გატეხილი. ამ მხედრობას მუდამ ამარცხებდნენ ომში. მეორედ იმიტომ-რომ ავსტრიას შელაგმვა უნდა, თორემ სულ მუდამ ჯილდოსა და საჩუქარს ითხოვს მოკავშირეთაგანაც-კი, თუნდა არაფერიც არა გაეკეთებინოსრაო. რადგან გერმანიას ეშინოდა, რომ ავსტრიამ გაჭირების დროს არ მიღალატოსო, იტალია დაუყენა დარაჯადა და დაავალა: ადევნე თვალ-ყური ავსტრიო-უნგრიის ქცევასაო.

ვინც იცის, რა მიმართულებისა და ხასიათისაა პოლიტიკა გერმანიისა, არ გაიოცებს ამ ამბავს. ბისმარკს, როგორც ვიცით, ხასიათად არა სჭირს, რომ პოლიტიკაში გულს აჰყვეს და მოერიდოს ვისმე. გერმანიის ძლიერება და ბედნიერება ყველა სხვა ინტერესებზე მაღლა სდგას ამ რკინის კაცის თვალში.

**ოსმალეთი.** სტამბოლელი კორრესპონდენტი გაზ. „Journal des Debats“-ისა სწერს: კრუპის ქარხანამ აუწყა ოსმალეთის სამხედრო მინისტრსა, რომ თუ ერთს კვირაში არ გამოგვიგზავნით 20,000 გირ. სტერლინგს ფულსაო, რომელიც გმართებთ, ოსმალეთთან ყოველს ანგარიშს გავათავებთ და შემდეგისათვის აღარავითარს საარტილერიო საომარ იარაღს აღარ გამოგიგზავნითო.

## წვრილი ამბები

— რვა წლის პრინცესა ვილჰელმინა ნიდერლანდელი ეხლა იმ წლოვანებაშია, როცა მემკვიდრე პრინცესას აღზრდას მთელი ერი ადევნებს თვალ-ყურსა. პრინცესას აღზრდა და გაწვრთნა უკისრნია დედოფალს ემმას; დედოფალი ასწავლის ყმაწვილს ქალს ფორტეპიანოზე დაკვრასაცა და ცხენზედ ჯდომასაც. ჰოლანდიურსა და ფრანგულს ენათა გარდა პრინცესა გაკვეთილებს იღებს კითხვისას, წერისას და თვლისას სხვა-და-სხვა მასწავლებლებთაგან, რომელთაც მეფემ სასტიკად უბრძანა: თქვენს შეგირდ-ქალს ნურც «პრინცესას» და ნურც «უმაღლესობას» ნუ დაუძახებთო, ასე რომ მემკვიდრე პრინცესამ ჯერ არ იცის თავისი შთამომავლობა. ამას წინად ყმაწვილი ქალი თავის დედასთან ერთად მჯდარა მარხილში და უსრიალნიათ თოვლზედ. უეცრივ მოსრიალეთ წინ შეჰხვედრიათ მთელი გროვა ყმაწვილებისა, რომელნიც თოვლობანას თამაშობდნენ თურმე; ყმაწვილებს დედოფლისა და პრინცესასათვისაც თოვლის გუნდები დაუშენიათ. პაწია პრინცესას ეს ძალიან მოსწონებია და უთხოვნია დედისათვის: ნება მომეცი, მეც ვითამაშო თოვლობანაო. დედოფალს ნება დაურთავს და პრინცესა ყველაზედ მეტსა თამაშობდა თურმე, ყველაზედ მეტს თოვლს აგუნდავებდა, იცინოდა და ხარხარებდა.

— ბერლინის კოპწია ყმაწვილ-კაცობა ამ ბოლოს დროს უფრო-და-უფრო ჭრელ-ჭრელ ტანისამოსს იცვამს თურმე. მაგალითებრ, ზემო პალტო მწვანე ფერისა აცვიათ, სერთუკი უჯრა-უჯრა და კუბო-კრული, ყელ-სახვევი წითელი აქვთ, ცის-ფერი ჟილეტი და წაღებს-კი წვეტიან წვერიანებს იცმენ პრტყელის ქუსლით. ამ ტანისამოსთანაც ეს ყმაწვილ-კაცობა ,,ლორდ-მერის'' ჯოხს ატარებს თურმე.

— იშვიათი მამაცობა. ერთი აფიცერი ნიდერლანდ-ინდოეთის ჯარისა შემდეგს საკვირველს ამბავს მოგვითხრობს იმ დროისას, როცა ნიდერლანდების კოლონიაში ყოფილა ბრძოლა, ესრედ წოდებულს აჩეხში. აჩეხელებმა ჰოლანდიის სიმაგრეთა ახლო, მაღალს სერზედ თავისი ბაირაღი დაურჭვეს და თითონ-კი ტყეში შევიდნენ. ამითი გულზედ მოჰხვედათ ჰოლანდიის ჯარის-კაცნი, ვითომ-და აბა წაგვართვით ეგ ბაირაღი, რომელზედაც ორს ხმალს შუა მთვარეა გამოსახულიო. მართლაც, ბევრს გაუბედნია ბაირაღთან მისვლა, მაგრამ აჩეხელები ტყიდგან სროლასა სტეხდნენ თურმე და შუა გზაზედვე ჰკლავდნენ გაბედავს ჯარის-კაცსა. ამის გამო ჰოლანდიის ჯარის უფროსმა აღუკრძალა თავის ჯარის-კაცებს, რომ ბაირაღის წართმევას ნურავინ განიზრახავთო. ერთს დილას უეცრად ჰოლანდიის ჯარიდგან გამოვიდა ერთი მსროლელთა რაზმის ჯარის-კაცი და გაბედულად და პირდაპირ გაემართა სერისაკენ. ოთხივ-კუთხივ უყვიროდნენ ჯარის-კაცს, რომ უკანვე გამობრუნდიო, მაგრამ ჯარის-კაცმა ყვირილსა და ძახილს ყურს არ ათხოვებდა და არხეინად მიდიოდა, ყურს არ ათხოვებდა აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ აჩეხლების მიერ ნასროლი ტყვია ზუზუნებდა ჯარის-კაცის გარშემო. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აი ეს-ეს არის დაეცემა და სულს განუტევებს უშიშარი და გაბედული ჯარის-კაციო. ბოლოს ჯარის-კაცი სერთან მივიდა. შესდგა. ხელები ზურგზედ დაიდო და დაუწყო სერს თვალიერება. აიღო ცოტაოდენ ქვიშა და ხელები დაისრისა ქვიშით. შემდეგ დიდის მოხერხებით ავიდა სერზედ. მოჰგლიჯა აჩეხელების წითელი ბაირაღი, გამოიღო ტანისამოს ქვეშიდგან ნიდერლანდთა ბაირაღი და მიამაგრა მოგლეჯილის მაგიერ ბაირაღის ჯოხზედ. შემდეგ გადმოხტა სერიდგან, პირი მტრებისაკენ ჰქმნა და დიდის ზიზღით იმათი ბაირაღი წაღებზე გაისვ-გამოისვა, გაიწმინდა. ჯარის-კაცმა ერთი კიდევ გადიხარხარა ხმა-მაღლა და ისევ იმ ტყვიის ზუზუნსა და თოფების გრიალში წამოვიდა უკან. უფროსის ბრძანების აუსრულებლობისათვის ნიდერლანდის მთავრობამ ორის კვირით დაპატიმრება გადაუწყვიტა ამ გაბედავს ჯარის-კაცს, ხოლო მთავარ-მმართებელმა მოხსენება გაჰგზავნა ამ კაცის მამაცობაზე და მაშინვე მიიღო მაღლის ხარისხის ორდენი „მამაცობისა და ერთგულობისათვის“.

— ამერიკის საფილოლოგიო საზოგადოებამ ცალკე კომისია ამოირჩია ამას წინად და მიანდო: გაარჩიეთ, შესაძლებელია, რომ ვოლაპუკი მსოფლიო ენად გარდაიქცეს თუ არაო. კომისიას ვოლაპუკის ენა უარ-უყვია და აი რა მიზეზით: მართალია, ეხლა ისე გაძლიერდა ერთა შორის მისვლა-მოსვლა, ვაჭრობა და დამოკიდებულება, რომ საჭიროა ყველასათვის გასაგები, საერთო ენა არსებობდესო, ხოლო ეს ახალი ენა დაფუძნებული უნდა იყოს ექვსს უმთავრეს არიულს ენაზედ—ინგლისურსა, ფრანგულსა, გერმანულსა, ისპანიურსა, იტალიურსა და რუსულზედაო. ამ მხრივ კი ვოლაპუკი ვერ გვაკმაყოფილებს. ამასთან ერთი ადამიანი ძნელად შეადგენს მსოფლიოსა და საერთა-შორისო ენას; ამისთანა ენის შესამუშავებლად საჭიროა მთელი საერთა-შორისო კომისია დავაარსოთ და ამ კომისიაში ყველა ზემოდ მოხსენებულ სახელმწიფოს წარმომადგენელი უნდა იყოსო.

— ამას წინად ლონდონში პროფესორს ვერტგეიმერს ლექცია წაუკითხავს მდიდრულად ჩაცმასა და ცხოვრებაზედ. ლექტორს განუხილავს ისტორიულად კანონები მეთვრამეტე საუკუნის ნახევრიდგან ჩვენამდე მდიდრულს ცხოვრებაზე და ამბობს, რომ მდიდრულ ცხოვრების წინააღმდეგ კანონი თან-და-თან უფრო ნაკლებ იბრძვის და ამ მხრით თავისუფლება ვრცელდებაო. ეხლა ყველას შეუძლიან ისე იცხოვროს, მოირთოს, ჭამოს და სვას, როგორც მოინებებს, ხოლო ძველად ასე არ შეიძლებოდა «მთავრობის ნება-დაურთველად». ახალის ისტორიიდგან მეტად საინტერესოა კანონები მდიდრულად ცხოვრებაზედ, გამოცემულნი იტალიასა და საფრანგეთში. საკვირველი ის არის, რომ ჰენრიხ მე-VIII თითონ მანდილოსნისავით კოპწიად იცვამდა და საზოგადოდ-კი წინააღმდეგი იყო მდიდრულად ცხოვრებისა. ამ კანონებთან ერთად ლექტორი ახასიათებს გერმანიასა და ავსტრიაში გამოცემულს კანონებს ამავე საგნის შესახებ. დასასრულ ლექტორს უთქვამს, რომ მე მდიდრულად ცხოვრების მომხრე ვარ, რადგანაც მრეწველობა მდიდრულად ცხოვრების წყალობით უფრო და უფრო წინ მიდის და უკეთეს მდგომარეობაში ვარდებაო. ამასთან, ჩემის აზრით, თუ მდიდრულად ცხოვრება ჩვეულებად შემოდის, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ ცივილიზაცია ვრცელდებაო.

— ვენგრიის ქალაქ შტიოკრაუში არის თურმე ერთი საკვირველი მახინჯი ადამიანი; აკვანში წევს ჩვიდმეტის წლის ქალი. ეს საბრალო არსება 1871 წელს არის მონათლული. მაშინ წყალ-დიდობა ყოფილა ვენგრიაში და მთელი ქალაქი წყალს წაულეკავს, ასე რომ მკვიდრნი ზემო სართულებში იმალებოდნენ თურმე. ამ ქალის დედას შიშით რძე გაჰფუჭებია და ამ გარემოებას აწერენ. ეხლა ადამიანიშვილის ასე დამახინჯებას ექიმებმა უთხრეს თურმე მშობლებს, რომ ეგ ყმაწვილი არ იცოცხლებსო, მაგრამ იმათი წინასწარ-მეტყველება არ გამართლებულა, ავერ ქალი ჩვიდმეტი წელიწადია აკვანში წევს მუდამ მწოლიარესავით. გონებითად და ენით ეს ჩვიდმეტის წლის ქალი ახლად დაბადებულს ყმაწვილს მოაგონებს თურმე ადამიანს. მხიარულებასა და მწუხარებას გაღიმებით და ტუჩების აშმუშვნით აცხადებს. ლაპარაკის დროს რაღაც უგონოდ, ყმაწვილსავით ჩიფჩიფებს, თუმცა კბილები დაცვლილი აქვს და იმისი ენაც დიდის ადამიანის ენას მოგვაგონებს. ეს ჩვიდმეტის წლის ბავშვი იცნობს თურმე მხოლოდ თავის მშობლებსა და და-ძმას. თუმცა კბილები კარგი აქვს, მაგრამ ამ კბილებით ვერც რასმესა სტეხავს და ვერც რასმესა ჰღეჩავს. ყმაწვილს ხშირად 48 საათი გამოუღვიძებლივ სძინავს თურმე, ხოლო როცა არა სძინავს, თავის პაწია ფეხებსა და ხელებს ეთამაშება. მკერდი და ზედა ტანი ისეთი აქვს, როგორც სრულ-წლოვანს ადამიანს, ხოლო ხელები და ფეხები ყმაწვილისა აბია და ამიტომ ფეხზედ ვერ წამომდგარა და ვერც ერთი ნაბიჯი ვერ გადაუდგამს.

## გასართობი

მოვა ხოლმე თუ არა პირველი იანვარი, ყველა აღელვებულია, გულის ძგერით მოელიან: აცა, მოვიგებ რასმეს მომგების ბილეთით თუ არაო. მაგრამ თურმე არც დიდის ფულის მოგება ყოფილა კარგი. აი მაგალითიც. ნიცცის ლატარიის უმთავრესი მოგება—200,000 მანათი ჰრგებია ერთს მეტად ღარიბ ყმაწვილს კაცს, გვარად პერიკუშს, ხოლო ეხლა პერიკუში ძალიან მადლიერი არ არის თურმე ამ მოგებისა. აი რა უთქვამს ამ კაცს ერთის ჟურნალის თანამშრომელისათვის:

— თუ ღმერთი გწამს, გამოაცხადეთ, ვითომ მე ამერიკაში მივდივარ. იქნება მაშინ მაინც მოვისვენო ათას გვარ სტუმრებისა და წერილებისაგან. იმდენი წერილები მომდის, რომ ლამის ჭკუიდგან შევიშალო. ერთი 40,000 მან. მთხოვს და მემუქრება: თუ ამ ფულს არ მომცემთ, ხვალვე თავს მოვიკლავო; დანარჩენები კიდევ შველასა და დახმარებასა მთხოვენ სიღარიბეში. არიან იმისთანანიც, რომელნიც მწერენ: ჩემი ქალი შერთეთ თქვენს ვაჟს, ან თქვენი ქალი მოათხოვეთ ჩემს ვაჟსაო. ჩემი ყველაზედ პირველი შვილი-კი სულ 10 წლისაა. სულ ცოტა, 550 წერილამდე მივიღე და ეს რიცხვი დღითი-დღე უფრო მატულობს. ყველა ამ წერილებზე პასუხი რომ მივცე, მგონი, ის მოგებული 200,000 მანათი არ მეყოფა და ისევ ისეთივე ღარიბი შევიქნები, როგორიც ფულის მოგებამდე ვიყავიო.

ჟურნალის თანამშრომელს ურჩევია ამ ბედნიერებით უბედურისათვის, რომ ნურც-კი გახსნით ჯერ-ჯერობით მაგ წერილებს, ხოლო შეინახეთ და შემდეგში, როცა დრო გქონდეთ და მოცარეობაცა, იკითხეთ ხოლმე, გაგართობთო.

**

ბერლინის გაზეთების სიტყვით, ბერლინში ერთს განთქმულსა და ცნობილს ექიმა

ახირებული მიზეზი აღმოუჩენია გერმანიის ახალის იმპერატორის ავადმყოფობისა. ამ ექიმს წაუკითხავს რეფერატი და ამტკიცებს, რომ იმპერატორის ავადმყოფობის მიზეზი ინგლისურის ენის ხმარებააო. იმპერატორი სულ ინგლისურსა ჰლაპარაკობს მას შემდეგ, რაც დაცოლ-შვილიანდა. ამ ენის ხმარება საზოგადოდ ძალიან ჰმოქმედებს ყანყრატოზე და განსაკუთრებით-კი სასაზე. ინგლისელები ავად არა ჰხდებიან თავიანთის დედა-ენის წყალობით, რადგან საზოგადოდ ძალიან ჩუმები არიან და მეტის-მეტი ლაპარაკი არ უყვართო. რეფერენტს უთქვამს თავის მსმენელთათვის, რომ აბა სცადეთ, რამდენჯერმე განიმეორეთ ანგლისური ენის ხმა „th“ და დარწმუნდებით, რა ძნელიც არის ამ ენის ხმარებაო. თუ ერთხელ და ორჯელ ძნელია „th“-ის გამოთქმა, რასაკვირველია, ბევრჯელ უფრო ძნელი უნდა იყოს და იმპერატორი-კი ამ ხმას დღეში ასჯერ და ათასჯერ წარმოსთქვამსო.

**

მარტო თვით სრულ-წლოვანი ამერიკელები არა ყოფილან ევროპიელებზე წინ წასულნი განათლებით, მოხერხებით და არ განირჩევიან გონებით,—თუ დავუჯერეთ ნიუ-იორკის გაზეთ „Nation“-ს, ამერიკელი ყმაწვილებიც ევროპიელებისაზე გაცილებით წინ წასულან. ევროპიელი ყმაწვილები ხშირად მოიგონებენ ხოლმე თამაშობის დროს, რომ მოდით, ქორწილობანა ვითამაშოთო და აგერ ჰბაძავენ თავიანთ მშობლებს, ან ქორწილს როგორ გადიხდიან ხოლმე, ან მიცვალებულს როგორა ჰმარხავენო. ამას წინად ბრუკლინის სასწავლებელში-კი ყმაწვილებს განქორწინობანა უთამაშნიათ. ამ თამაშობას დიდ-ძალი ვაჟკაცებიც დასწრებიან ყმაწვილებს გარდა. ყმაწვილებს თურმე თვალყური უდევნებიათ ერთის განქორწინების გარჩეულ საქმისათვის და ეხლა იმის მიბაძვა მოუწადინებიათ. საჩივარი ვითომ-და შეუტანია პატარა გოგოს, ანატომი კამისტოკს, ბრალდებულად ყოფილა პატარა ბიჭი, ბები ბროუნსპოტტგერი. მოწამედა ჰყოლიათ მღვდლის ქალი, ფლორენცა იერროუ; ერთი პატარა ბიჭიც ვექილად ყოფილა და მშვენივრად ულაპარაკნია. ამ თამაშობაზე დამსწრე „Nation“-ის რეპორტიორი ამბობს, რომ ამ ტყუილს სასამართლოში ლამაზადა ბაასობდნენ და კამათობდნენ და არსად არა გადაუჭარბებიათ, არსად უკადრისი არა უთქვამთ-რა ყმაწვილებსაო.

<>

# დეპეშა

27 თებერვალი

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტროში შეუტანიათ შემდეგი წინადადება: დადგენილ იქმნას, რომ რკინის გზის ბილეთებთან ერთად იყიდებოდეს აგრეთვე იმისთანა ბილეთები, რომლითაც რკინის გზა პასუხს აგებდეს მგზავრის წინაშე ყოველ უბედურ შემთხვევისათვისაო. სამინისტრო უკვე შესდგომია ამ აზრის განხილვას.

**სოფია.** დღეს შესდგა მინისტრთა საბჭო პრინც ფერდინანდის თავმჯდომარეობით; უნდა დაადგინონ, თუ როგორ მოიქცნენ იმის გამო, რომ ოსმალეთმა პრინცი არა კანონიერ მთავრად გამოაცხადა. ორის კვირის შემდეგ პრინცს და იმის დედას განზრახვა აქვთ წავიდნენ ვენაში.

28 თებერვალი

**პეტერბურგი.** გერმანიის იმპერატორის გარდაცვალების გამო ხელმწიფე იმპერატორის სასახლეში უნდა იმგლოვიარონ ოთხის კვირის განმავლობაში.

სამხედრო უწყებას გამოეცხადა, რომ «მე-5 ქვევითს პოლკს კალუგისას, რომლის შეფად ითვლებოდა იმპერატორი ვილჰელმი, დღეის იქით ეწოდებოდეს სამუდამოდ მეხუთე ქვეითი კალუგის პოლკი იმპერატორის ვილჰელმისა. მთელმა არმიამ უნდა ატაროს ოთხი კვირა მგლოვიარობის ნიშანი მარცხენა ხელზე, ხოლო პეტერბურგის გრენადერისა, მეხუთე კალუგისა და მე-37 დრაგუნის პოლკებმა ხუთი კვირა. პირველს სამს კვირას მძიმე შავებში უნდა იყვნენ. იმპერატორის ვილჰელმის დასაფლავების დღეს მთელმა ჯარმა უნდა ჩაიცვას მძიმე შავები და მუსიკა არ უნდა დაუკრას. ვილჰელმის სახელობის 37 დრაგუნის პოლკს უნდა ეწოდოს 37 დრაგუნის პოლკი. იმპერატორი ფრიდრიხი მე-III ინიშნება პეტერბურგის გრენადერისა და კალუგის პოლკების შეფად; მე-33 დრაგუნის პოლკს ეწოდოს იმპერატორის ფრიდრიხ III-ის მე-33 დრაგუნის პოლკი. მე-85 პოლკს გერმანიის მემკვიდრე პრინცის სახელი ეწოდოს».

«Journal de St.-Pètersbourg»-ი ამბობს, რომ იმპერატორი ვილჰელმი სიკვდილის წინად ლაპარაკობდა, თუ როგორ უნდა მიელოცნა ხელმწიფე იმპერატორისათვის დაბადების დღე. გაზეთი იუწყება, რომ დეპეშით მიწერ-მოწერის დროს პეტერბურგსა და სან-რემოს შორის, ორისავე მხრით აღიარებულ იყო უგულითადესი თანაგრძობა და სიყვარული და აგრეთვე რწმენა, რომ ძველებური ნათესაობითი მეგობრობა არ მოისპობა დღეის შემდეგაცაო. „ამიტომაცაო, ამბობს გაზეთი, იმედია, რომ სახელი პატივცემულის იმპერატორისა დარჩება იმის სიკვდილის შემდეგაც. იმის სახელს არ დაივიწყებენ არც რუსეთი და არც გერმანია; არ დაივიწყებ არც ამ ორ სახელმწიფოთა სამეფო გვარეულობანი და ეს იმის საბუთია, რომ საზოგადო მშვიდობიანობა და წესიერება დაცული იქმნება“.

„Прав. Вѣст.“-ი ამბობს, რომ განსვენებული იმპერატორი ვილჰელმი ჩვენის დროის უდიდესს მეფეთაგანი იყოვო. გერმანიამ დაჰკარგა ისეთი იმპერატორი, რომლის სახელი დაიჭერს საპატიო ადგილს მსოფლიო ისტორიაში. უეჭველია, რომ ყველა ერები დიდის პატივის-ცემით მოიხსენიებენ ვილჰელმის ხანგრძლივს და სახელოვანს მეფობას და მოღვაწეობას.

„Русскій Инвалидъ“-ი ამბობს: იმპერატორის ვილჰელმის სიკვდილი დიდს მწუხარებას გამოიწვევს რუსეთის ჯარშიო, რომელიც ვილჰელმს იცნობდა, ვითარცა სახელოვანს მხედარს, დიდ-სულოვანს კაცსა და გულითადს მეგობარს რუსეთის ხელმწიფეებისას. ხსენება ვილჰელმისა სამუდამოდ შთაბეჭდილია ჩვენის ჯარის გულშიო.

**ბერლინი.** დღეს საღამოს იმპერატორის ვილჰელმის გვამს სობოროში დაასვენებენ, რათა ერს შეეძლოს ნახვა გარდაცვალებულისა.

სამინისტრო ლეიპციხს წავიდა ახალის იმპერატორის მისაგებებლადა და მისასალმებლად.

**პეტერბურგი, 29 თებერვალს.** გაზეთები იუწყებიან, რომ პროექტი ახალის დებულებისა პასპორტების თაობაზე უკვე წარუდგინეს სახელმწიფო საბჭოსა. ახალი ის იქნება შემოღებული, რომ პატარა წიგნებს დაურიგებენ ამის შემდეგ პასპორტების მაგიერ და ამ წიგნით ნება ექმნება კაცს ათის წლის ვადით დაანებოს თავის ბინას თავი და, საცა უნდა, იქ იცხოვროს რუსეთის იმპერიაშიო.

გემის «Кострома»-ს დაღუპვის გამო ზღვათა სამხედრო სასამართლომ დამნაშავედ არ იცნო კომანდირი კაჩალოვი. ყველა იმისი ქცევა და მოქმედება გემზე მყოფთა გადასარჩენად და გემის ქონების დანთქმისაგან დასახსნელად სრულიად ეთანხმება ზღვათა სამხედრო სამსახურის წესსა და კანონსაო.

**ლეიპციხი.** იმპერატორი ფრიდრიხი მობრძანდა აქ 7 საათზედ. იმპერატორს მიეგებნენ: თავადი ბისმარკი, მინისტრები და სასახლის დიდებულნი. ბისმარკი და მინისტრები შევიდნენ იმპერატორის ვაგონში. იმპერატორი ეამბორა ბისმარკსა, იმპერატრიცამ ფრიადის წყალობით მიიღო. ბისმარკი იმპერატორის ვაგონში დარჩება თვით ბერლინამდე.

**ბერლინი.** იმპერატორის ვაგონი $11^1/_4$ საათზედ მოვიდა შარლოტენბურგსა. თუმცა დიდი თოვლი და ნამქერი იყო, მაინც აუარებელი ხალხი უცდიდა მატარებლის მოსვლასა და დიდის ალტაცებით მიეგება ახალს იმპერატორს. იმპერატორსა და იმპერატრიცას მიეგებნენ პრინცები და პრინცესები. იმპერატორს ჯან-მრთელის კაცის სანახაობა ჰქონდა. რკინის გზის სადგურიდგან იმპერატორი, იმპერატრიცა და პრინცები ეტლით წაბრძანდნენ შარლოტენბურგის სასახლეში, ხოლო მინისტრები ბერლინში დაბრუნდნენ.

**ბერლინი.** სწორედ შუა-ღამისას მიასვენეს გვამი იმპერატორის ვილჰელმისა სობოროში. იმპერატორი ჩაასვენეს კუბოში 1-ლ გვარდიის პოლკის მუნდირითა და ნაცრის ფერ სალაშქრო წამოსასხამითა. მუნდირი, მიცვალებულის სურვილის თანხმად, მხოლოდ რამდენისამე ორდენით არის შემკული; იმათ რიცხვში არის წმ. გიორგის ჯვარი, რომელიც მიიღო ომში მამაცობისათვის 1814 წელს, როცა კალუგის პოლკთან ერთად იბრძოდა.

**ბუქარესტი.** გიკამ უარი სთქვა, ახალს სამინისტროს ვერ შევადგენო, და ამიტომ მეფემ სამინისტროს შედგენა მიანდო ბრატიანოს.

პეტერბურგის ბირჟა 25 თებერვ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | — ,, | — ,, | 9 90 |
| ტამოჟნის კუპონები . | — ,, | — ,, | 198 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . | — ,, | — ,, | 1 42 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — ,, | — ,, | 257 |
| —მეორისა . . . . . | — ,, | — ,, | 245 |
| გირავნობ. ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7396**.

ძველი ინდიქტიონი მე 14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე 4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მარტი 31 დღით არის.

1 დღე სამშაბათი. წმ. ქალწ. ევდოკიმესი. კათოლ. ადრიანისა. სომეხ. ლეონიდესი. მუსულ. 1 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ.-ჰიჯრისა.—გარდაცვალება იმპერატორის ალექსანდრე II-სა, 1881 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—10. ტფილისში მზე ამოდის 6—15, ჩადის 6—5. მთვარე 2 დღისაა.

2 დღე ოთხშაბათი. წამ. ფელდოტისა და არსენიასი. კათოლ. ელენესი და ამალიასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—14, ჩადის 6-6. მთვარე 3 დღისაა.

3 დღე ხუთშაბათი. წამ. ლეონისა და ვასილისკესი. კათოლ. კორნელიასი და მარინისა. სომეხ. წმ. ვართანიანცებისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—12, ჩადის 6—7. მთვარე 4 დღისაა.

4 დღე პარასკევი. ღირსისა გერასიმესი და პავლესი. კათოლ. ნიმფასი და ლუციასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 6—10, ჩადის 6—9. მთვარე 5 დღისაა.

5 დღე შაბათი. ღირს. კანონისა და მარკოზისა. კათოლ. ფრედერიკისა და თეოფილესი. სომეხ. კრება 150 მამათა კონსტანტინოპოლში. მუსულ. მე-5 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—8, ჩადის 6—10. მთვარე 6 დღისაა.

6 დღე კვირა. წმ. 41 წამებულთა ამორიელთა. კათოლ. ვიქტორისა. სომეხ. აღების-ღამე დიდ-მარხვისა. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ტფილისში გაიმართა პირველი სამეურნეო გამოფენა, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 6—7, ჩადის 6—11. მთვარე 7 დღისაა.

7 დღე ორშაბათი. პირველი დღე დიდ-მარხვისა. ვასილისა, ეფრემისა და ევგენიასი. კათოლ. თომასი და ფელიციტასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 6—5, ჩადის 6—12. მთვარე 8 დღისაა.

<>

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით—დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით—დილის 9 საათზე და მასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და ტუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, სოხუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## განცხადებანი

თებერვლის 23-ს ქართულ თეატრ[ში]

დაიკარგა ტყავის ბუმაჟნიკი

სხვა-და-სხვა ანგარიშებითა და თამასუქებითა. მპოვნელს ვსთხოვთ უმორჩილესად წარმოადგინოს ეს ბუმაჟნიკი სოლოლაკის ქუჩაზედ, აღაბაბოვის სახლში, ღვინის სარდაფში: «подвалъ Кахетинскихъ памѣщиковъ».

3—3 თ. რევაზ კაჩნაძე

ტფილისის საკომერციო კლუბში, უწინდელ კრუჟოკის დარბაზში, [...] შაკუნის სახლებში,

სამშაბათს, 1 მარტს,

ქართულის დრამატიულის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

ყაჩაღი არსენა

დრამა 3 მოქმედ., თხზ. ა. მოჩხუბარიძისა.

პრიკაშჩიკი შკაფში

ვოდევილი 1 მოქმედ., გადმოკეთ. ა. ცაგარლის მიერ.

დასასრულ

ლ ე კ უ რ ი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

ბილეთები ისყიდება თამბაქოს მაღაზიაში „თეატრი“, სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში.

КОФЕ ФАБРИКИ ЛЮБИТЕЛЕЙ С. СІУ и К°
50—12)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 109,110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . . | ,, | 20 |
| ზუნების მოკლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | ,, | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. «ივერიის» გამოცემა. . . . . | ,, | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ . . . . | ,, | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა. . . . . . . | ,, | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | ,, |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) . . . . . . | 3 | 50 |

Доз. цен. Тиф., 29 февраля 1888 г. Типографія А. А. Михельсона, Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე